ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №654612

ნომერი: AR1123857

თარიღი : 11.04.2013

გაცემის თარიღი : 22.04.2013

გაცნობის თარიღი : 23.04.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ საიქოძე პ/ნ 13001004923
- გურჯაანი ს. ვაჩნაძიანი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1123857განაცხადის პასუხად გაცნობებთ, წარმოდგენელი მასალის განხილვის დროს დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდი იყო #01.13.05.003.036 და რომლის არეალშიც ყვებოდა თქვენი საპროექტო ტერიტორია მომზადებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები #398 (24.03.10.) შეთანხმებულია პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვაც. რადგან აღნიშნული მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შემდეგ შეიცვალა მისი საკადასტრო კოდი, პირველ რიგში საჭიროა ცვლილება განხორციელდეს #398 (24.03.10.) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და მომდევნო შესაბამის დოკუმენტაციაში ახალი საკადასტრო კოდის და მიწის ნაკვეთის ფართობის დაფიქსირებით. ცვლილება უნდა მოითხოვოს #398 (24.03.10.) მიწის ნაკვეთის განმცხადებელმა ან აღნიშნული პიროვნება დაფიქსირდეს თანაგანმცხადებლად.

მხოლოდ აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდეგ გახდება შესაძლებელი თქვენ მიერ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკდასტრო კოდით #01.13.05.003.074 სამშენებლოდ განვითარების საკითხის განხილვა. ზემოხსენებული ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი უნდა ატვირთოთ Tas.ge-ზე ამავე განაცხადის დამატებით ველში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოიყენოთ დახარვეზებული ველებიც.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2013 წლის 11 აპრილს, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 08 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნის დასაზუსტებლად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 07 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტი, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.